



N 01-325
10/03/2015

325-01-2-201503102029



ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების
საკითხების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს
ეროვნული კავშირის „ICOMOS/საქართველოს“
დირექტორს ქალბატონ ლია ბოკუჩავას

ქალბატონო ლია,

ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ თავმჯდომარის 2015 წლის 10 თებერვლის N02-40 ბრძანებით განსაზღვრული „2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული საინჟინრო-საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების“ საკონკურსო კომისიის 2015 წლის 9 მარტის გადაწყვეტილების შესაბამისად გთხოვთ, 3 სამუშაო დღის ვადაში წერილობით დააზუსტოთ თქვენს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების ღირებულება მოიცავს თუ არა საექსპერტო, კერძოდ ხარჯთაღრიცხვის, კონსტრუქციული ნაწილის და საინჟინრო კომუნიკაციების ექსპერტიზის ხარჯებს. ასევე, გთხოვთ დაგვიზუსტოთ თქვენს მიერ შემოთავაზებული სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადები მოიცავს თუ არა ზემოთ მითითებული ექსპერტიზისათვის საჭირო დროს.

აქვე შეგახსენებთ, რომ გამოცხადებული საკონკურსო დავალების (უ/ნ 1477) მე-10 მუხლის 10.1 პუნქტის შესაბამისად, კონკურსანტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში: „10.1 თუ ის არ დააზუსტებს ტექნიკურ დოკუმენტაციას შემსყიდველის მიერ დადგენილ ვადაში“.

თემურ ხომერიკი

თავმჯდომარე

ა(ა) იპ „თბილისის განვითარების ფონდი“